

ხალგაზრდა ვეროელი

ქართული
1921 წლის

30
მთხრო
ხათშაათი
1991
№ 62
(11695)

ეროვნული
ბიზლირთეკა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 ჰაბ.



გავსოგა ღამთაპრდა

ამ თერთმეტი წლის განმავლობაში ბევრჯერ ღარე-კილა ჩვენთვის სკოლის ზარი და ბეჭეტიანი განწყობილებაც გამოუწვევია: ხან შეგება უგრძობიანება, როცა გაკვეთილის მიწურულს საპასუხოდ გაძახებულებს სათქმელი არაფერი გვქონდა, ხან თავისი სულსწრაფობით გაულიჩიანებია სკოლის კედელს „უცხო თვალი-საგან“ მოფარებით აკრული გოგონები, რომელიც იმ ერთადერთ და ძალზე საჭირო სიტყვას ეძებდა, ყველაზე უკეთ რომ გამოხატავდა მის გულისთქმას. გულიც ბევრჯერ აუჩქროლებია სკოლის ზარს და თანაც სულ სხვადასხვა მიზეზით: ხან სიხარულით, ხან შიშით, ხან მოლოდინით, მაგრამ თუ მას ასეთი გულდაწყვეტის გრძობის გამოწვევაც შეეძლო, ვერ წარმოვიდგენდით. თურმე კიდევ ერთი დაფარული თვისება შეუსახია სკოლის ზარს თერთმეტი წლის მანძილზე. ამდენი წელი ფარავდა, რათა იმ დღეს თავისი ხმით შეეძრა ჩვენი გულები. მათი გულები, ვინც სამუდამოდ შორდებოდნენ სკოლას. გაისმა ნაცნობი ძინ-ძინი და მივხ-

ვით, რომ დამთავრდა მართლაც გასუმორებელი ბავშვობა. თურმე როგორ გვევარება ჩვენი მასწავლებლები, რომელთა მიმართ კვლავაც შეგვრჩება მოწიწებისა და მოკრძალების გრძობა, მაგრამ უკვე სხვაგვარად: „დიდური“ ურთიერთობა დამყარდება იმ-ერიდან. სხვები ირბენენ ახლა „ჩვენს“ დერეფნებში, სხვები დასაკუთრებენ „ჩვენს“ მერხებს... მართლაც რა შობილიური ყოფილა სკოლა... დამთავრდა ჩვენი ბავშვობა, ამიერიდან ყველანი — მშობლები, ახლობლები, სულ უცხოებიც კი უკვე სხვაგვარად მოგვექცევიან — უფრო მეტად იქნებიან, უფრო მეტ მომთხოვნელობას გამოიჩინენ. ეს არც გეწყინს, პირიქით, გვიხარია კიდევ, რომ უკვე დიდები ვართ და ნამდვილ ცხოვრებას ვიწყებთ. სკოლის ზარმა ხომ ახალ სამყაროში შესვლაც გვაუწყა.

— გზა დაგვილოცე, ჩვენი მშობლიური სკოლა! ჩვენ კი ვეცდებით ღირსეულად ვატაროთ შენი აღზრდილების სახელი.

მარიამ მელაძე

თბილისის 53-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.



პრეზიდენტის არჩევნების ნიმუშური შედეგები

ზვიად გამსახურდია	2574888	86,43%
ირაკლი ზენგელია	26217	0,74%
ჯემალ მთაბრაძე	50810	1,69%
ვალერიან ადვაქი	288264	7,83%
თამაზ კვაპანტირაძე	8678	0,29%
ნოდარ ნათაძე	35042	1,21%

გზარაკდეთ ნიშნა ნიმუშ პაღლი

↑
I ივნისს აღინიშნება წმიდისა დედისა ჩვენისა, ქართველთა განმანათლებლისა, მოციქულთა სწორისა, ქალწული ნინოს საქართველოში შემოსვლა. ზუსტად 1668 წლის წინათ, როცა „ბარში ვარდნი ჰუკაოდნენ“, დაადგა იბერიის მიწას ფეხი კაპადოკიელმა ქალწულმა თავისი თმით შეკრული ვაზის ჯვრით. მისმა შემოსვლამ გაფუძველი დაუღო ქართველთა საჭიროებებს.

— წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლას უკველთვის დიდი პატივით აღნიშნავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტ შერი გაზრდაქთან საუბარში წმინდა მამადავითის წინამძღვარმა, დეკანოზმა მამა არჩილმა (ლაფერაშვილმა). — ამჯერად კი ეს დღე ირმაგად საზეიმოა, რადგან იგი აღინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ. ზვიად გამსახურდიას არჩევადან რამდენიმე დღის შემდეგ. ხალხმა აირჩია თავისი საყვარელი წინამძღვარი, რომელმაც უნდა წარმართოს საქართველოს მომავალი ცხოვრება და მისი ბედი.

მრევლთან ერთად აღვლენს ჩვენის ეკლესიის მწყემსთავარი ილია მეორე.

ქავეთის ამ მშვენიერ მიწაზე, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს გამოყოფილი აქვს 20 ჰექტარი ფართობი, რომელიც აქურთხა მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ. ამჟამად მიმდინარეობს საეპარქიო სარეზიდენციო მშენებლობა. აქ იქნება უწმინდესისა და უნეტარების რეზიდენციაც. ასევე კარის ეკლესია და დიდი სამეურნეო ნაგებობანი. მშენებლობა დაარსებულა არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა. სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს საქართველოს „ინტურისტშენის“ ტრესტი თამაზ ლევაშოვი თავკაცობით. ასე რომ, თავფარავის ტბის მიდამოები გახდება ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი წმინდა ადგილი სრულიად საქართველოსა და უკველი კუთხიდან ჩამოვლენ ქართველები თავჯანსაღებად იმ ადამიანისა, ვინც ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად იწოდება.

ზუსტად იმ ადგილზე, სადაც წმინდა ნინო შემოვიდა — თავფარავის ტბის მიდამოებში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარების ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, წმინდა ნინოს სახელზე, ნაკურთხია ერთ-ერთი უდიდესი, ღია ცის ქვეშ აღმართული, ტრაპეზი. აქ უკვე მესამე წელია მისი უწმინდესობა აღვლენს ხოლმე საზეიმო წირვა-ლოცვას, წმინდასაც გაიმართება წირვა-ლოცვა, რომელმაც საქართველოს სამღვდლოებასთან და

საცოცხლის დასახარული წმინდა ნინომ კახეთში გაატარა. იგი დაკრძალულია ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში. I ივნისს აქ გაიმართება დიდი წირვა-ლოცვა, რომელმაც აღვლენს ბოდბელი მიტროპოლიტი ათანასე (ჩხავაშვილი) საქართველოში წმინდა ნინოს სახელზე რამდენიმე ტაძარია აგებული. ყველა მთავანში გაიმართება საზეიმო წირვა-ლოცვა, წინამძღვრები აღვლენენ წმინდა ნინოს უკვდავ სახელს.

გვფარავდეს წმინდა ნინო მადლი კურთხეულ იყოს სახელი და საქმენი მისი! სპანდორმნი.


მასკრან-ინფორმაცია

სამამე ღაიძრა!..

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა წერილი „სიამაყე ერთ ჰერკვემ“. ასპარეზობის გამო, სადაც დავსვით, უფრო სწორად, მხარი დავუჭირეთ გაზეთ „მერანის“ მე-4-5 ნომერში წამოჭრილი წინადადებას. იმის შესახებ, რომ ჰერკვემის რესპუბლიკურ სასახლეს მინიჭებოდა სახელგანთქმული მოქალაქის, დიდოსტატ ნონა გაფრინდაშვილის სახელი.

და აი, გუშინწინ, ეს საკითხი საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი ფედერაციის პრეზიდენტის პირველსავე სხდომაზე

იქნა განხილული. პრეზიდენტის წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას. მეტიც, პარლამენტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, პარლამენტის სასახლის დირექტორმა, დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში განზრახულია ვერის პარკში, იმ ადგილას, სადაც წინათ ავადსახსენებელი სერგეი კორევის ძეგლი იყო, დაიდგას ქართველ მოქალაქე ქალთა დიდების ძეგლი. რაც შეეხება სასახლისთვის ქალბატონი ნონას სახელს მინი-



ჭების საქმეს, იგი ადგილიდან დაიძრა. ფედერაციამ უკვე მოამზადა საშუალებები ბარათი საქართველოს სპორტდემარტამენტის

სთვის, რომელმაც, თავის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე გადასაწყვეტად უნდა დასცას ეს საკითხი.

იმედია, მის გადაწყვეტას არაფერი შეუშლის ხელს.

გიგლა შოთაძე



საქართველოს ჩინური პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ აპაკი ასათიანს

დღეს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის უწყველი ხელმოწერებით რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება რადიკალური გარდაქმნები ცხოვრების ყველა სფეროში, მწამს უყურადღებოდ არ დარჩება ადამიანთა სოციალური დაცვის სისტემის უზრუნველყოფა, რომელიც ფაქტურად დღემდე არ არსებობდა და წარმოადგენდა ფიქციის საბჭოური სახელმწიფოს მოდელისათვის.

დღემდე არ არსებობს ერთიანი სოციალური პოლიტიკა, რომელიც თავს მოუყრიდა სხვადასხვა უწყებებში გაფანტულ ფუნქციებს და განახორციელებდა წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული ადამიანებისათვის სოციალური პრობლემების გაუმჯობესების გადაწყვეტის ღონისძიებებს.

საბჭოური სახელმწიფოს მოდელის მიხედვით ეს ფუნქციები ძირითადად დაკისრებული ჰქონდა უკანონოდ შექმნილ საბჭოურ პროფკავშირებს, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე ახორციელებდა ძალად თავსმოხვეული კომუნისტური პარტიის პოლიტიკას და თავის კლასებში აქტიურად წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული ადამიანების უფლებებს და სოციალურ გარანტიებს, იძულებულნი ხდებოდნენ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ყოფილიყო სხვისი მოწყალეების შემყურე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის და ოკუპაციის შედეგად საქართველოში აკრძალულ იქნა ნამდვილი პროფკავშირული მოღვაწეობა და მის მაგივრად გაიხსნა რუსეთის ბოლშევიკური პროფკავშირების საქართველოს განყოფილება.

დღიდან თავისი არსებობისა და ლეგიტიმური „კომუნისტური სკოლა“ — პროფკავშირის პარტიის ძირითადი დასაყრდენ ბირთვს წარმოადგენდა, ხოლო მისი ქონება სახელმწიფოს ხარჯებით და ხალხისგან მოკრძალებით წარმოებული ფულებით იქმნებოდა. ამას მოყვავი სახელმწიფოს მართვის ისეთი ძლიერი ინსტიტუტის შექმნა, რომელმაც მასზედ უშუალოდ დამოკიდებული გახადა პროფკავშირებში ძალად გაწვევრიანებული ყველა სრულწლოვანი ადამიანი. ალბათ ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა მთავრობამ მის გამგებლობას გადასცა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემა და ხალხსაც შეუქმნა იმის ილუზია, რომ ყოველგვარი სოციალური დახმარება, ბიულეტენები, დასვენება, კურორტები და სხვა ბევრი რამ, რომელიც ფაქტობრივად ადამიანთა ხელფასის ფონდიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან იქმნებოდა, საბჭოთა კომუნისტური პროფკავშირების დამსახურება იყო.

დღემდე ამ უკანონოდ შექმნილი ორგანიზაციის მმართველი ძალა პარტიული ელიტის „დამპალი მოძველებული კადრებია“, რომლებმაც „დიდი ლენინის დროს“ წინაშე დაიმსახურეს ეს თანამდებობები და პარტიულ სამუშაოზე ყოფნის დროს მთელი თავიანთი ძალა „საქართველოს სამსახურს“,

მისი მიწების და ერის გაყიდვის სრულყოფილი მეთოდების შემოღებას მოახმარეს.

როდესაც საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა აღმავლობის გზას დაიდა და კომუნისტურმა ხელისუფლებამ შეიკრიბა სამშრობა თავისი განადგურებისა, გადაწყვიტა დროებით თავი შეეფარებინა სხვადასხვა ძირითად სახელმწიფო მართვის ორგანოებში, დაედა კარგი დაწერილი წარმოდგენები და ნიღბ აფარებულს დაეცადა „უფრო კარგი დროის“ დაღვინება.

ამიტომაც მოხდა საქართველოში ნაუცბათეად 1990 წლის ივნისში ევრთწოდებული საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირის კონფედერაციის შექმნა და მისი დარგობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რათა კომუნისტური პარტიის ყოფილი რაიკომის მდივნებს და ლიდერებს საშუალება მისცემოდათ გარკვეული ძალაუფლების შენარჩუნების გზით დროებით თავი შეეფარებინათ ევრთწოდებულ „ხალხის მიერ არჩეულ“ ორგანოში და თავიანთი ქმედებით ხელი შეეშალათ საქართველოს თავისუფლებისათვის. ამავე დროს, პროცესების განვითარებასთან ერთად, თავი იჩინა პირადულმა „სკამის შენარჩუნების“ პრინციპმა, რამაც

მათი მხრიდან გამოიწვია ნამდვილი პროფკავშირული არჩევნების უარყოფა და ძველი საბჭოური დარგობრივი პრინციპების და სტრუქტურების შენარჩუნება. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს მთავრობა დღევანდელ ეტაპზე სხვა დარგობრივ სისტემაზე გადასული.

შემოქმედულიდან გამომდინარე, დღეს არ არსებობს საქართველოში პროფკავშირი, რომელიც იქმნებოდა წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული ადამიანების უფლებებისა და ინტერესების დამცველი მებრძოლი ორგანიზაცია. ფაქტობრივად ყველაფერი ეს დაკისრებული იქნა ახლად შექმნილ შრომის სოციალურ საკითხთა და დემოკრატიის და ნაწილობრივ განმრთვლობისა და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების განყოფილების სამინისტროებს, რომლებიც თავიანთი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სრულყოფილად ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, რადგან ჯერ კიდევ ბევრი სოციალური საკითხის მოგვარება-გადაწყვეტის საშუალებებიც უკანონოდ შექმნილ საბჭოთა პროფკავშირებს აქვრია.

საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების მოძრაობა ჯერ კიდევ 1988-1990 წლებში აყენებდა იმ საკითხებს, რომ საჭირო

იყო სოციალური საკითხების დაწესებულება სახელმწიფოს მიერ, უკანონო პროფკავშირების დამლა და საქართველოში ხალხის ნების გათვალისწინებით ნამდვილი პროფკავშირული კავშირების შექმნა; საბჭოთა პროფკავშირების ქონების: კურორტების, სპორტის, კულტურის, ტურიზმის, პანსიონატების, აგარაკების, ბავშვთა ბანაკების და პროფილაქტიკური საქართველოს მთავრობის გამგებლობაში დაბრუნება, სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლიდა საბჭოთა პროფკავშირების ფინანსურ საქმიანობას როგორც პროფსაბჭოში, ასევე მის დარგობრივ სტრუქტურებში და განუმარტავდა ხალხს, თუ სად მილიონა წლების მანძილზე ხალხისგან დაცემული და სახელმწიფოს ბიუჯეტიდან წამოღებული ფული იყო.

საწყენია, რომ დღესაც ამ საკითხების მოგვარებას არ ექცევა სათანადო ყურადღება და მიმდებარე პროფკავშირული პარტიული მფობის ნებაზე, რომელიც კარგად მთავრობს დღევანდელ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ხელისუფლებას ხელს უშლის ჩვენს სამშობლოს თავისუფლებისათვის აღმავლობის გზაზე სვლაში.

იმედია საქართველოს პარლამენტი და მთავრობა მთელი სერიოზულობით მოეკიდება ამ მტკივნეული საკითხების გადაწყვეტას და დღევანდელ ომში მყოფ საქართველოს ხალხს ცოტათი მაინც გაუადვილებს ამ მხრივ სოციალური საკითხების მოგვარებას.

პატივისცემით
ბატონ აპაკი ასათიანი
საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის ხაჯორდინაციის ცენტრი.

როცა „ახალგაზრდა ივერიელი“ (25. 10. 90) პროფესორ კორნელი დანელიას წერილი წაკითხე, გამოგტყდებით, მეც მგამაზნა მისაღები გამოცდების ახლებურად ჩატარების ავტორისეულმა იდეამ. მეც ვიმედოვნებდი, ცნობილი სპეციალისტები საჯაროდ დასახებუებენ „ახალი მეთოდის“ უმართებულობას-მეთქი, მაგრამ, როგორც ბატონმა რევაზ თვარაძემ ბრძანა („სს“, 22 03. 91). „წერილმა ერთგვარი შოკი გამოიწვია როგორც სპეციალისტთა შორის, ისე ფართო საზოგადოებაში“. ხოლო „ამჟამაშინ“ სხვათაგან განსხვავებით, თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა და გადაწყვიტა, წლებანდელი მისაღები გამოცდები კ. დანელიას მეთოდით ჩატაროს. რამდენადაც ვიცი, ზოგიერთმა უმადლესმა სასწავლებელმა უკვე მიზამა უნივერსიტეტის მავალით“.

პროფესორი რევაზ თვარაძე თავის წერილში ახსახულებს, რომ კ. დანელიამ ვერ დაახახტა არსებული მეთოდის მოდელის უარსობა და ცხადყო, რომ ახალი მეთოდი არაფრით ჯობს ძველს. მიუხედავად ამისა, კამათი გრძელდება და თავს ნება მივეცი, მეც გამოვიყენო ორიოდ მოსახრება ამ საკითხთან დაკავშირებით. ვფიქრობ, მაქვს ამის უფლება: განათლებით ფილოლოგი ვარ, ნაფხისით — ლიტერატორი, წლების განმავლობაში ვმონაწილეობდი მისაღები გამოცდების ქართული ენისა და „იტერატურის“ კომისიის მუშაობაში (სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი) და ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი საშუალო სკოლის მეხუთე-მეათე კლასებში.

ამთავი იდეა უნდა განვაცხადო, რომ მ. პირადად, პროფესორ რევაზ თვარაძის მხარეზე ვარ. ჩემი რწმენა პროფ. კ. დანელიას პასუხმა („უმართებულო შენიშვნათა გამო“, „სს“, 12. 04. 91) ოდნავადც ვერ შეარყია, პროფ. რ. თვარაძის პასუხის პასუხმა კი („ასე არაფერი გამოგვივა, მადლობა!“ „სს“, 19. 04. 91) ეს რწმენა კიდევ უფრო განმძიმტვიცა.

კამათში წამოჭრულ ყველა საკითხს არ შევხები, მხოლოდ, როგორც ვთქვი, ორიოდ მოახარებას გამოვთქვამ და ორიოდ

დე პრაქტიკულ წინადადებას შევთავაზებ იმათ, ვის ხელშიცაა წლებანდელი მისაღები გამოცდების ბედ-ილალი.

პროფ. კ. დანელია ყველაფერში ცამდე მართალი რომ იყოს, ერთ რამეში მაინც ვერ დავეთანხმები: როგორ შეიძლება, აბიტურიენტს მოეთხოვოს ის და იმგვარად, რაც და როგორადაც მისთვის სკოლაში არ უსწავლებიათ?!

მახსოვს, ერთ-ერთ აბიტურიენტს მისაღებ გამოცდაზე წერით ნაშუშევაში ასეთი რამ იწერა: „მეფე ფინიზის ვეზირი რუქა იმდენად ჭკვიანი იყო, რომ საჭურისის თანამდებობამდე მი-

ლი აბიტურიენტის ნაშრომის გასწორებისას წამდაუწყებ ფურცლებს ხოლმე „ორთოგრაფიულ ლეკიკონს“ თუ საშუალო სკოლის ამა თუ იმ სახელმძღვანელოს, რათა დაწმუნდეს მოტანილი ციტატის სისწორეში თუ იმაში, როგორ იწერება, ვთქვამთ, მით უმეტეს. ხომ არაერთხელ გინახავთ საკუთარი თვალით ასეთი სურათი, ბატონო კორნელი?!

ჩემი საუბარი იქითკენ მიმყავს, რომ ცოტათი მაინც ნათელყო: წერისას აბიტურიენტის ისედაც უამრავი წყაღქვემა კლდე ხვდება და უდმერთობა იქნება, თუ მონადირესავით ჩაუსაფრ-

დებით ან კიდევ უფრო უარეს ხაფანგებს დაუგებთ მას. კიდევ: მეტისმეტად ხომ არ ვლანდავებ და ვამცირებ ჩვენს სკოლას? კი ბატონო, პროგრამები ვადატვირთულია, სახელმძღვანელოები ჭადსახალისებელია, ბევრი პედაგოგის პროფესიული დონე დაბალია, მაგრამ...

მაგრამ განა პროფესორი კ. დანელია (და კიდევ ბევრი სხვა პროფესორი...) იმავე პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით არ გაიზარდა და მისაღებ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში იმ ძველი მეთოდით თხზულება არ დაწერა (ვფიქრობ, ვერ მეტყვის, იმ დროს გადაწერა მოდაში არ იყო)? მაშ, რა მონდა, როგორა ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტი კ. დანელია?

როგორ და ისე, რომ მის საგამოცდო ნაშუშევაში ნაცლდმა გამომცდელმა მხოლოდ ნაწარმოების შინაარსის თუ „გარჩევის“ ცოდნა კი არა, ეტყობა, აბიტურიენტის თავისუფალი აზროვნების, ანალიზის უნარიც დაინახა. კ. დანელიამ (თუ სხვამ) სწორედ ამით აჯობა კონკურენტებს და უკეთესი შეფასებაც დაიმსახურა.

(აქ ამის ადგილი არ არის, მაგრამ სხვა დროს, ვაითუ, საამისო შესაძლებლობა არ მომეცეს, და კიდევ ერთ კითხვას

დავკვამ: განა ბატონი შალვა ამონაშვილი, ესოდენ დიდი სახელი რომ მოიხვეჭა ზიარი კანფეტების წუწინა მოსწავლე — მასწავლებელთა აპოლოგიით, იმ გოგებაშვილისეული „დღეა ენის“ მუქუნაწილი არ არის, რომელსაც ისეა ხმაღამოთეული ებრძვის? ისიც იმავე პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით არ გაიზარდა?)!

მაშასადამე, მზავარი ქისაყ, აბიტურიენტის ნაშრომში აზროვნების უნარი ჩანდეს. თავისუფალი აზროვნების უნარი, ანალიზის უნარი ყველას არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს. ამ უნარის გამომქლავება კი

დავკვამ: განა ბატონი შალვა ამონაშვილი, ესოდენ დიდი სახელი რომ მოიხვეჭა ზიარი კანფეტების წუწინა მოსწავლე — მასწავლებელთა აპოლოგიით, იმ გოგებაშვილისეული „დღეა ენის“ მუქუნაწილი არ არის, რომელსაც ისეა ხმაღამოთეული ებრძვის? ისიც იმავე პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით არ გაიზარდა?)!

მაშასადამე, მზავარი ქისაყ, აბიტურიენტის ნაშრომში აზროვნების უნარი ჩანდეს. თავისუფალი აზროვნების უნარი, ანალიზის უნარი ყველას არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს. ამ უნარის გამომქლავება კი

ამა თუ იმ მოვლენასა თუ პერსონაჟზე. თუ აბიტურიენტი ამას შეძლებს, ისევე, როგორც ეს თავის დროზე აბიტურიენტმა კ. დანელიამ შეძლო, დაუწერეთ, ბატონო კორნელი, „ფრიადი“, თუ არა და, წავიდეს, ბატონო, და სხვაგან სცადოს ბედი. არაა აუცილებელი, ყველა პროფესორი ან დოცენტი გახდეს. ჩემი ნება რომ იყოს, ორ რადიკალურ ნაბიჯს გადავდამდი:

1) მისაღებ გამოცდას (წერით) ქართულ ენასა და ლიტერატურაში ორ ეტაპად ჩავატარებდი: პირველ ეტაპზე იმთ გამოვრიცხავდი, ვინც აშკარა „შუბრიანაა“ (რთ, გაჭირდება გამოცნობა?), „მეშარგულე“ და, მაშასადამე, „ცულოსანი“. მეორე ეტაპზე გასულებს კი საწერად თავისუფალ თემებს მივცემდი და საუკეთესოებს შევარჩევდი (ცხადია, ჰუმანიტარულ სპეციალობებს ვგულისხმობს).

2) თუ ვინმე უღირსი მაინც „გაძვრებოდა“, იმას იანვრის ესეებზე „გავრიცხავდი“ და კონტრგენტის განახევრებასაც არ მოვერიდებოდი.

ამასობაში სკოლაც გარდაქმნის თავის მუშაობას, დაიხვეწება პროგრამები, დაიწერება ახალი სახელმძღვანელოები, მთლიანად გადავალთ დიფერენცირებულ სწავლებაზე, მოვლენ უკეთესი პედაგოგები...

მთავარი მაინც სკოლა, ბატონო კორნელი, სკოლით უნდა დაიწყოს განათლების სისტემის გარდაქმნა და არა მისაღებ გამოცდებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით. სახლის შენებას, მოგესწავება, საძირკვლით იწყებენ და არა სახურავით, თუკი თქვენეული ახალი მეთოდით შეიძლება ოცდაათი აბიტურიენტიდან ერთის გამოჩენა, რთ, ძველი მეთოდით ამის გაკეთება შეუძლებელია? ვეფიქრებ — თქვენ ხომ გამოგარჩიეს? ჰოდა, როცა ოცდაათი აბიტურიენტიდან ერთი განსაკუთრებით მაღალ დონეზე დაწერს თემს, ვთქვამ, ასეთი სათაულით — „გვიგოლ ხანძელი და ილიას განდგილი“ (ან — „ცოტნე და თედორე“) — დაწერს გამართულად და თან თავისუფალი აზროვნების უნარსაც გამოამქლავებს, ჩავრიცხოთ ის ერთი, ბატონო ჩემო! ის ერთი..

წუხარ ახსახახა

„ის პართი!“

გამოსახლება

გამოსახლება

სხვა გზებზე

ოკ, ეს ამერიკელები

სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ამერიკელთა 90% გამუდმებით ცრუობს სამსახურსა თუ სახლში. გამოკითხვის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ სამუშაო დროიდან 7 საათს კვირაში პირად საჭიროებებზე ხარჯავს. მათმა 50%-მა აღიარა, რომ უქედობის მომიზეზებით რეგულარულად ეთხოვება სამსახურიდან, გამოკითხულთა 70% არ იცნობს თავის კარის მუხრებზე. ყოველ მეშვიდე აქვს ცეცხლსროლელი იარაღი. მათი ორი მესამედი მხარს უჭერს სიკვდილით დასჯას. ყოველი მესამე მზადაა გამოსწოვოს ელექტროსკამის ჩამოხრა, ე. ი. იყოს მონახლისე ჯალათი. გამოკითხულ ამერიკელთა თითქმის ნახევარმა განაცხადა, რომ საერთოდ ვერ ზედავს აზრს ქორწინებაში, მეუღლეთა 31%-ს ჰქონდა ან აქვს ქორწინებისგარეშე კავშირები („არგუმენტი ი ფაქტი“ № 19).

ნორჩი ფანტასტი

დიდი ბრიტანეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ სამეცნიერო ფანტასტიკის უნარი მოღვაწე ყველაზე ნორჩი მწერალი მათი თანამემამულე შვიდი წლის ალექს უილიამსი, რომელმაც რომანი დაწერა რომბოტების თავგადასავალზე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ წიგნი ყოველგვარი სარედაქციო სწორებების გარეშე — ნორჩი ავტორის მიერ დაშვებული ყველა გრამატიკული და სტილისტური შეცდომით — გამოვიდა და უმაღლესი ბეჭდვით იქცა („ტრუდი“ № 111-112).

ხაჯა რაზვილიძე

მიორთვით, შეგვრგოთ, — ამერიკიდან სწორედ ამ სიტყვებით შეგიძლიათ შესთავაზოთ ფინჯანი ყავა თქვენს ახლობლებსა და კეთილისმეტყველებს. საქმე ისაა, რომ ყავა, რომელიც ბოლო ათწლეულების მანძილზე გულ-სისხლძარღვთა მტრად ითვლებოდა, რეაბილიტირებულია. ბრაზილიური სამედიცინო ჟურნალ „უნივერსალ“-ის ცნობით, სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები. რომლებიც ყავის ზემოქმედებას 45 ათას პაციენტზე იკვლევდნენ. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ყავა (მცირე დოზებში) გულზე უარყოფითად არ მოქმედებს.

რაც არ უნდა პარადოქსული ჩანდეს, ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემას მეტ ზიანს ის ყავის სასმელები აყენებენ, რომლებიც კოფეინს არ შეიცავენ („სელსკია ჟიზნი“ № 36).

ფსიქოლოგიური იმპრია

ურჩევს კომერსანტებს სარეკლამო კომერციული გამოცემა „მეორეული“ (№ 34), რომელიც გვიამბობს, თუ როგორ დაკარგა ეს სიფხვლე და მასთან 150 ათასი მანეთი, ზღაპრულად კომერსანტმა იური მ-მ. გლადივოსტოვსკი მსხვილი პრესტიჟული შენამეინისთვის ჩასულ კომერსანტს სასტუმროს ნომერში დახვდა ადგილობრივი პროფტექსტორების მოსწავლე, 17 წლის ელენა პ., რომელმაც კარგად გაითამაშა გულის წასვლის სენა და სანამ შემფთოვებული კომერსანტი დაუპატიჟებელი სტუმრის მისასულიერებლად წყაღს მოიტანდა, ელენაც და ფულიც უკვალოდ გაქრნენ.

თავგადასავლების ნორჩი მოყვარული უკვე დაკავებულია. ამჟამად მილიცია მისი სამი თანამზრახველისა და 150 ათასი მანეთის ადგილსამყოფელს და ერთდროულად ამ თანხის „წარმოშობა“ ადგენს.

მორალური ზარალი ანა აპია

ჩილეს დედაქალაქის მცხოვრებმა მარია რამინესმა 500 მილიონი პესო (დაახლოებით 1,5 მილიონი დოლარი) მოითხოვა იმ „მორალური ზარალის“ კომპენსაციისათვის, რომელიც მას დედაქალაქის ერთ-ერთი ჰოსპიტლის ექიმებმა მიუყენეს. საქმე ისაა, რომ 2 წლის წინათ მათ მარია რამინესს შეცდომით დაუსვეს... შიდსის დაიგნოზი. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ნაძვლილი ჯოჯობით: მარია ჯერ სამსახურიდან გაათავისუფლეს, სადაც ის 14 წლის მანძილზე ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკად ითვლებოდა. შემდეგ ქმარმა და შვილებმაც მიატოვეს. ბოლოს კი სახლის პატრონმაც კარისკენ მიუთითა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მარია რამინესმა სცადა თავის მოკვლა და, ალბათ, განახორციელებდა კიდევ ამას, რომ არა ჩილეს კათოლიკური უნივერსიტეტის საავადმყოფოდან მიღებული პასუხი, რომელიც იუწყებოდა, რომ მარია რამინესს თავის დროზე არასწორი დიაგნოზი დაუსვეს. ასეთივე პასუხი მოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც, აგრეთვე, გამოსაკვლევად გაავაზენეს მარია რამინესის სისხლი („სელსკია ჟიზნი“ № 96).

ხველაზე პოპულარული ანაქროტი

ხველაზე პოპულარული ანაქროტი, რომელიც ამჟამად შეიძლება მოიხმონთ ჰავანას ქუჩებში, ასე ჟღერს: „რატომ გვიგზავნიან ჩინელები უბედულო ველოსიპედებს? პასუხი ასეთია: „იმიტომ, რომ კუბა მაინც დღემდე მიეჩნება“. ბოლო ხანებში კუბელებს მკაცრი ეკონომიის ზომებთან მოუხდნენ შეგუება, მათ შორის ჩინეთიდან ექსპორტირებული ველოსიპედებით ავტობუსების შეცვლასთან. გასული წლის ოქტომბრიდან შეზღუდულია ერთ ხელზე გაცემული ტანსაცმლის რაოდენობაც. წლის მანძილზე ერთ კაცს შეუძლია ერთი შარვლის, ერთი პერანგის, ერთი წყვილი ფეხსაცმლის, ერთი... ბიუსტპალტერისა და ერთი წყვილი ქვედა საცვლის შეძენა („არგუმენტი ი ფაქტი“ № 19).

დონორის გული 20 წლისაა

მართალია, სამხრეთ აფრიკის ქალაქ კრააფონფონტეინის მკვიდრი დიკ ვან ზილი ჯერ მხოლოდ 64 წლისაა, მაგრამ უკვე რეკორდსმენად ითვლება ამ ქალაქის უბუცისთა შორის. საქმე ისაა, რომ აგერ უკვე 20 წელია, რაც დიკ ვან ზილის მკერდქვეშ ძვრის... დონორის გული. გულის გადახრევის ოპერაცია მას 1971 წელს გაუკეთა მსოფლიოში ცნობილი ქირურგმა კრის ბერნარდმა. დიკ ვან ზილი დღემდე შესანიშნავად გრძობს თავს და როგორც თავად აცხადებს, არც მომავალში აპირებს პოზიციების დათმობას („ტორგოვია გაზეტი“ № 16).

ხსენს მათი კალღური ცხოვრება

იტალიურ გაზეთ „რესპუბლიკას“ ცნობით, ქალაქ ნასაუში (ბაგამის კუნძულები) არსებობს ძალღების... სასტუმრო. სასტუმრო ორსართულიანია და 65 ძალღის მქონე მალღური კომფორტულ საცხოვრებელზეა გათვლილი. სასტუმროს კონდიციონერული ნომრები 1-2 და 3-ადგილიანია. სასტუმროს პოლში განლაგებულია ძალღების საპარკინგო, ვეტერინარი, ძალღების რესტორანი და კაფე („კომსომოლსკია პრავდა“).

საპარტევლო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

აგნადას მონაწილეობა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის მორა პარსე (სახალხო სკოლის ბავა, წარმოებისა და მოწოდების) სამედიცინო სასწავლებელში შემაგ საცემლოვანზე:

- თბილისი I სამედიცინო სასწავლებელი** (ხოშარაულის ქ. № 6. ტელ: 34-15-48).
 1. მედლის საქმე — ქართული სექტორი.
 2. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა — ქართული სექტორი.
- თბილისის II სამედიცინო სასწავლებელი** (ქავთარაძის ქ. № 16. ტელ: 31-15-44).
 1. მედლის საქმე (საერთო პროფილი) — ქართული სექტორი.
 2. მედლის საქმე (ბავშვთა და წესებულებების მედა) — ქართული და რუსული სექტორი.
- თბილისის III სამედიცინო სასწავლებელი** (ლესელიძის ქ. 25. ტელ: 72-27-57).
 1. სამკურნალო საქმე (საფერ-

- ლო) — ქართული სექტორი.
 - 2. ჰიგიენა, სანიტარია, ეპიდემიოლოგია (სანიტარული საფერლო) — ქართული სექტორი.
 - 3. ფარმაცია — ქართული სექტორი.
- სოხუმის სამედიცინო სასწავლებელი** (ჩიხუას ქ. № 56. ტელ: 2-20-49).
1. მედლის საქმე (საერთო პროფილი) — ქართული, რუსული და აფხაზური სექტორი.
- გორის სამედიცინო სასწავლებელი** (სტალინის ქ. № 3. ტელ: 2-47-10).
1. მედლის საქმე (საერთო პროფილი) — ქართული სექტორი.
- ფოთის სამედიცინო სასწავლებელი** (მწვანე მოლის ქ. № 3).
1. მედლის საქმე (საერთო პროფილი) — ქართული სექტორი.
- ახალციხის სამედიცინო სასწავლებელი** (რუსთაველის ქ. № 105. ტელ: 2-14-93).

აბიტურიენტთა საპურადლეობა

სამეცნიერო-საწარმოო გავრთიანება „თავისუფალი პროფესიონარები“ აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე, რომლებიც მშობლებთან ერთად იცხოვრებენ კომფორტულ სასტუმრო „კავკასიონში“ თბილისის ზღვის ნაპირზე, სამკურნალო კვებით და სამედიცინო მომსახურებით.

აბიტურიენტები გავილიან მისაღები გამოცდებით გათვალისწინებულ პროგრამას ნებისმიერ სავანში. სწავლებას აწარმოებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. სწავლების საფასური სასტუმროში და კვებით მინიმალურია და ღირს 2000 (ორიათასი)

მედლის საქმე (საერთო პროფილი) — ქართული სექტორი. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება.

სათანადო ფორმის განცხადებას დირექტორის სახელზე უნდა დაეთოს დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა ფორმა 086 უ, ამონაწერი შრომის წიგნიდან (ადმინისტრაციის მიერ დამოწმებული), 5 ფოტოსურათი (3X4). შემსვლელმა პირად უნდა წარმოადგინოს პასპორტი.

პირებს, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სწავლების დღის ფორმით, უფლება ეძლევათ წარმოებინან მოწყვეტილი გაგარქელონ სწავლა უშუალოდ სასწავლებლებში დამთავრების შემდეგ.

თბილისის სამედიცინო სასწავლებლებში მედლის (საერთო პროფილი) და სამკურნალო საქმის საცემლოვებზე საკონკურსო შეტყობისას კონკრეტული 50 პროცენტით დაეთმობა თბილისის მუდმივ მაცხოვრებლებს.

შემსვლელი მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

1. ქართული ენა და ლიტერატურა — წერა (ქართული სექტორი), რუსული ენა და ლიტერატურა — წერა (რუსული სექტორი), აფხაზური ენა და ლიტერატურა — წერა (აფხაზური სექტორი).

თბილისის სამედიცინო სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

1. ქართული ენა და ლიტერატურა — წერა (ქართული სექტორი), რუსული ენა და ლიტერატურა — წერა (რუსული სექტორი), აფხაზური ენა და ლიტერატურა — წერა (აფხაზური სექტორი).

შენიშვნა: 1. ახალციხის სამედიცინო სასწავლებელში მიღება იწარმოებს მხოლოდ შესვლათა შემდეგ. 2. მოწოდების შედეგად დაზარალებული რაიონების მცხოვრებლები (ონი, ამბროლაური, საჩხერე, კიათურა).

რესპუბლიკის სამედიცინო სასწავლებლებში გარდა ახალციხის სამედიცინო სასწავლებლისა, დადებითი ნიშნის მიღების შემთხვევაში ჩაირიცხებიან კონკურს გარეშე.

თვის ყოველდღიურად იმუშავებს ორი ავტობუსი საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურებისათვის.

განცხადებებისათვის მოგვმართეთ 15 ივნისამდე, მისამართზე: თბილისი, 380091, თბილისის ზღვა, საქართველოს დამოუკიდებელი პროფესორების სასწავლო ცენტრი, ოთახი 4. ტელ: 61-32-68, 61-03-78, 10-დან 16-სათამდე.

შურა და თინა ხარაბიშვილიანი

ბალახებისგან დამზადებული წამლები მკურნალობენ შემდეგ სნეულებებს: ნევროზი, ნალღის ბუშტი, კლიმაქსი, კუჭის წყლული, კოლიტები, ბუასილი, პროსტატა, რიდიკულიტი, შარდის ბუშტის ანთება. ვენების გაგანიერება, თირკმლების დაავადებები; მწელად შეზორცება-დი კრილობებისთვის აზადატენ მალამოს.

ამასთან, არიან ბიომასაჟისტები. თავიანთი ხავერდოვანი ხელებით კურნავენ სხვადასხვა დაავადებას.

მისამართი: ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, IV კვარტალი, II კორპუსი, ბინა 62.

დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა საპურადლეობა

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი აცხადებს, რომ ფილოლოგიის, ეკონომიკის, საინჟინერო-ეკონომიკის, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის (კომერციის) ფაკულტეტების დაუსწრებელი სწავლების ყველა კურსის სტუდენტები ვალდებულია საგამოცდო აესიებზე გამოცხადდნენ: მამდინარე წლის 17 ივნისიდან, ხოლო გეოგრაფიკული ფაკულტეტის სტუდენტები კი ა. წ. 5 ივნისიდან.

სესიებზე გამოცხადება ეხება როგორც უფასო, ასევე ფასიან სწავლებაზე ჩარიცხულ სტუდენტებს.

რამკორაბი

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას სალონებისა და კაზინოების პროფესიონალებისთვის. საცემლოვანზე:

- I. თარგმანის განყოფილება
 - ა) სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანი (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, ესპანური ენა)
 - ბ) მხატვრული თარგმანი (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, ესპანური ენა)

II. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

- ა) ფერწერა
- ბ) გრაფიკა
- გ) ქანდაკება
- დ) დეკორატიული ქსოვა (გობელენი, ბატეა, თეჭა)
- ე) ტანსაცმლის მოდელირება

III. კინოხელოვნების განყოფილება

- ა) კინოსასცენარო
 - ბ) კინომოტორეობა
- ხელოვნების და ჰუმანიტარულ პროფესიონალებისთვის: ჩიორიციანი უ-აღლესი განათლების მქონე პირები, რომელთაც სურთ ათვისონ ამალი პროფესია. სასწავლო ციკლის წარმატებით გადის შემთხვევაში, მათ მიენიჭებათ შესაბამისი კვალიფიკაცია და მიეცემათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი.

ფაკულტეტი სამედიცინო ანგარიშზე. სწავლების ხანგრძლივობაა 3,5 წელი, ხოლო სწავლების ქირა — თარგმანისა და კინოხელოვნების განყოფილებაზე ყოველწლიურად 2.000 მანეთი.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილებაზე — ყოველწლიურად 2.500 მანეთი. აღნიშნულ თანხას გადმორიცხავენ ორგანიზაციები ან მსურველები შემოიტანენ ნაღდ ანგარიშზე. სწავლების ფორმაა საღამოს დასწრებელი. საბუთები მიიღება მმდინარე წლის 1 ივნისიდან 25 ივნისამდე.

ფაკულტეტზე სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. განცხადება
 2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
 3. დამოწმების ასლი.
 4. 4 ფოტოსურათი 3X4-ზე.
- ჩვენი მისამართი: თბილისი, ი. ჯავახიშვილის პრ. № 14, თსუ IV კორპუსი, III სართული, ოთახი № 12, ტელ. 29-08-47.

ანტისოკუპაციო მოძრაობა

1991 წლის 25 მაისს, საქართველოს დედაქალაქში, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში გაიმართა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენელთა პალატის სხდომა. წარმომადგენელთა პალატის სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მცხეთა-თბილისის, გორის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, ქუთაისის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყეშელის, ვანის, მარტვილის, ოზურგეთის, ჩხატარაის, ბათუმის და ქობულეთის საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელმა წაიკითხა ანტისოკუპაციო მოძრაობის დეკლარაციის პროექტი. წარმომადგენელთა პალატის სხდომაზე გადაწყდა საფუძველი ჩაეყაროს ანტისოკუპაციო მოძრაობას, როგორც გარკვეულ ორგანიზაციულ სტრუქტურებში მოქცეულ საერთო სახალხო ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობას. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახლო მომავლისათვის სრულიად საქართველოს ანტისოკუპაციო მოძრაობის დამფუძნებელი ყრილობის მომზადებისა და მოწვევისათვის. შეიქმნა ანტისოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრი, შემდგომ შემადგენლობით:

1. ირაკლი წერეთელი
2. ბუტა ტყეშელაძე
3. შერაზ შარაშენიძე
4. ხოსო ხირაძე
5. შერაზ იაშვილი
6. შერაზ პაპიაძე
7. ირაკლი ბათიაშვილი
8. თემურ ჯორჯოლიანი
9. ნიკო ხვანიშვილი
10. კახა დედოფარიანი
11. მამული ქვინაძე
12. ჩემალ ძამაშვილი
13. გურამ გოგიაძე

1991 წლის 26 მაისს საქართველოს მონარქისტული პარტიისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების თავმჯდომარეთა შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ირაკლი წერეთლის ბინაზე, მიღებულ და ხელმოწერილ იქნა ანტისოკუპაციო მოძრაობის დეკლარაცია.

- დედოფლისწყარო — პარასკევს, 31 მაისს 17 სთ-ზე;
 სიღნაღი — შაბათს, 1 ივნისს, 17 სთ-ზე;
 გორი — ოთხშაბათს, 5 ივნისს, 17 სთ-ზე;
 თერჯოლა — ხუთშაბათს, 6 ივნისს, 17 სთ-ზე;
 ზესტაფონი — პარასკევს, 7 ივნისს, 17 სთ-ზე;
 ტყეშელი — სამშაბათს, 11 ივნისს, 17 სთ-ზე;
 ვანი — ოთხშაბათს, 12 ივნისს, 17 სთ-ზე;
 ჩხატარაი — ხუთშაბათს, 13 ივნისს, 17 სთ-ზე;
 ოზურგეთი — ხუთშაბათს, 13 ივნისს, 13 სთ-ზე;
 ქობულეთი — პარასკევს, 14 ივნისს, 17 სთ-ზე.
 ბათუმი — შაბათს, 15 ივნისს, 17 სთ-ზე;
 ქუთაისი — სამშაბათს, 18 ივნისს, 17-სთ-ზე.

ანტისოკუპაციო მოძრაობის დეკლარაცია

პრეამბულა

კაცობრიობის პროგრესული განვითარება უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს თავისუფლების, როგორც უნივერსალური კატეგორიის, განხორციელებას მსოფლიო სინამდვილეში. თავისუფლების საყოველთაო რეალიზაცია უზრუნველყოფს კაცობრიობის ძირითადი ფუნდამენტური ელემენტის პიროვნებისა და ერის სრულ განვითარების იდეის ხორცშესხმას, რადგან მსოფლიო სინამდვილე წარმოადგენს განსხვავებულ ინდივიდუალურ ჩამოყალიბებულ ადამიანთა და ეროვნებათა მთლიანობას. მსოფლიოს მი-

საღებ და ნათელ მომავალს ვხედავთ საერთაშორისო თანაცხოვრების ისეთ სტრუქტურებში, რომლებშიც რეალიზებული და გარანტირებული იქნება დედამიწის ზურგზე მცხოვრები ყველა ადამიანისა და ერის თავისუფლება და კეთილდღეობა. ვინაიდან ღვთისგან მომდებელი სათნოება არ განიხილება თავისუფლების გარეშე, თავისუფლებისთვის ბრძოლას მივიჩნევთ საღვთო-სახელო საქმედ და უშუალოდ ღვთისგან დაკისრებულ წმინდა მისიად.

ძირითადი პრინციპული და მიზნობრივი პრინციპები

1) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეფუძნება იმ უზენაესი პრინციპის აღიარებას, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული, მრავალსაუკუნოვანი და უძველესი სახელმწიფოებრივი, სარწმუნოებრივი და კულტურული ტრადიციებისა და ნიშნების მატარებელმა ქართველმა ერმა აუცილებლად უნდა აღიდგინოს საბჭოთა რუსეთის იმპერიის მიერ წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და შექმნას თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივი, სრულყოფილი, დამოუკიდებელი სახელმწიფო.

2) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოცემულ ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს 1918 წლის 26 მაისს დაფუძნებულ და ერთა ლიგის მიერ დე-ფაქტო-დ და დე-იურე-დ ცნობილ საქართველოს რესპუბლიკის აღდგენას.

3) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების (მე-9 და მე-11 წითელი არმიების) შემოჭრასა და მათ მიერ ქვეყნის ტერიტორიების დაკავებას მიიჩნევს შეიარაღებულ აგრესიად, რომელიც განხორციელებული იქნა სახელმწიფო ინტერვენციითა და ოკუპაციით.

4) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმებას, ევრეთ წოდებული, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას და ამ სახით საქართველოს იძულებით შეუყვანას ჯერ, ევრეთ წოდებული, ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო შემდეგ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ევრეთ წოდებული, სსრ კავშირის შემადგენლობაში, მიიჩნევს საქართველოს ფაქტობრივ ანექსიად და 1921 წლის თებერვალში დაწყებული შეიარაღებული აგრესიის გაგრძელებად.

5) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში ევრეთ წოდებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და ყველა სახეობის ჯარების ყოფნის ფაქტს მიიჩნევს ოკუპაციად და ამდენად 1921 წლის თებერვალში დაწყებული შეიარაღებული აგრესიის გაგრძელებად.

6) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იუარდული თვალსაზრისით დღესაც არსებულად თვლის ერთა ლიგის მიერ ცნობილ საქართველოს რესპუბლიკას, დღევანდელ საქართველოს ფაქტობრივ თვალსაზრისით მიიჩნევს საბჭოთა იმპერიის მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად და არ ცნობს ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში შექმნილი და დღეს არსებული რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებას, კანონმდებლობასა და სუვერენიტეტს.

რედაქციისგან: გამოქვეყნებული დეკლარაცია და განცხადება მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით კეთდება. ჩვენი აზრით, ეს არაკორექტულია, ვინაიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბევრად უფრო ფართო მცნებაა და მისი დიდი ნაწილი დღეს საპარლამენტო გზით მიდის მიზნისკენ, საქართველოს სრული თავისუფლებისკენ; და ეს გზა რა არის, თუ არა ანტისოკუპაციო მოძრაობა. ამდენად, ჩვენი აზრით, თუ მომავალში არ მოხდება თუნდაც გარკვეული კოორდინირება და ამ ახალი მოძრაობის შეთანხმება (ამაში ცუდი არაფერი არ იქნება) რესპუბლიკის ხელისუფლებას ოფიციალურ პოლიტიკურ გეზთან, შესაძლოა მან უაუწყებელი მოკვდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ერთადერთ აუცილებელ და გარდაუვალ პირობად მიჩნია საქართველოს მიმართ განხორციელებული ხანგრძლივი საბჭოთა შეიარაღებული აგრესიის აღკვეთა, რაც ითვალისწინებს საქართველოს სრულ და უპირობო დეოკუპაციას (სოკუპაციო ჯარების ამსოლუტური შემადგენლობით გაყვანას) და საქართველოდან საბჭოთა იმპერიის — სსრ კავშირის საზღვრების გადატანას.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანია, რომ საქართველოს სრული დეოკუპაციის წარმატებით განხორციელებისათვის ანტისოკუპაციო მოძრაობა, როგორც გარკვეული პრინციპებითა და სტრუქტურებით ორგანიზებული, ზეპირი, საერთო სახალხო ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობაა.

ზოგადი სტრუქტურული პრინციპები

ანტისოკუპაციო მოძრაობის სტრუქტურულ საფუძველს შეადგენენ ანტისოკუპაციო კომიტეტები, რომლებიც იქმნებიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპით შენაბამის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში.

სასოფლო ანტისოკუპაციო კომიტეტები ერთიანდებიან რაიონულ კომიტეტებში, რაიონული საოკუპაციო კომიტეტები რეგიონალურ დანაყოფებად, რომლებსაც პირობითად ეწოდება სადროშო.

ანტისოკუპაციო მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოა ეროვნული ასამბლეა, რომლის სხდომაზე იმართება ყოველ ექვს თვეში ერთხელ. ეროვნული ასამბლეის დელეგატებს სადროშოები ავტონომიურ შენაბამის ანტისოკუპაციო კომიტეტებიდან.

ანტისოკუპაციო მოძრაობის მთავარი აღმასრულებელი ორგანოა ეროვნული კომიტეტი, რომელიც ირჩევა ეროვნული ასამბლეის მიერ პირდაპირი და თანასწორი ღია ან ფარული კენჭისყრით.

ანტისოკუპაციო მოძრაობის წევრობის წესების პრინციპები

ანტისოკუპაციო მოძრაობის წევრი შეიძლება იყოს საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი პირი განუყოფელია ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და პროფესიისა, რომელიც ეთანხმება და იზიარებს ანტისოკუპაციო მოძრაობის დეკლარაციასა და მიზნობრივ პრინციპებს.

პირი, რომელსაც სურს შევიდეს ანტისოკუპაციო მოძრაობის ორგანიზაციულ სტრუქტურებში, ავსებს სპეციალურ ანკეტას, რომელშიც ჩამოყალიბებულია ანტისოკუპაციო მოძრაობის ძირითადი პოლიტიკური პრინციპები.

ანტისოკუპაციო მოძრაობის წევრობა შეუძლია მთლიანად აღებულ პოლიტიკურ პარტიას, ორგანიზაციასა და საზოგადოებრივ გაერთიანებას.

ზოგადი სამოქმედო გეგმა

ანტისოკუპაციო მოძრაობა მიზნად ისახავს საყოველთაო სამოქალაქო და ეროვნული დემოკრატიზაციის განხორციელებას გზით საქართველოს სრულ და უპირობო დეოკუპაციას, ამ თვალსაზრისით გათვალისწინებულია პრინციპული, მანიფესტაციების, დემონსტრაციების, მსვლელობების, აპოლოგების, ვაფიცებისა და სპეციალური საჯარო შეკრებებისა და ღონისძიებების ორგანიზება, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართულებული გაგზავნა. ანტისოკუპაციო მოძრაობის მოქმედება ემყარება მკაცრად რეგულაციონირებული არაშეიარაღებული წინააღმდეგობის სტრატეგიას.

შეუერთდით გეგობროვის ლაშქარს

საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ფრენდშიპ ფორსის“ საქართველოს განყოფილების შესახებ ჩვენს თანამემამულეებს გარკვეული ინფორმაცია უკვე გააჩნიათ. ჩვენი საქმიანობის ძირითადი სფეროა — ოჯახური გაცვლები სხვადასხვა ქვეყნებთან. ვასულ წელს „ფრენდშიპ ფორსმა“ საქართველოში სამი დიდი გაცვლა მოაწყო, რომელთა შედეგად 745 ჩვენს თანამემამულეს მიეცა საშუალება ემოგზაურათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეცხოვრათ ამერიკელთა ოჯახებში, შეეძინათ მეგობრები. იგივე რაოდენობის ამერიკელი მოქალაქეები ცხოვრობდნენ ქართულ ოჯახებში, ეცხოვრებოდნენ ჩვენს ისტორიასა და კულტურას, წეს-ჩვეულებებს და, რაც მთავარია, ჩვენში მიმდინარე ქვეყნობრივ ისტორიულ პროცესებს.

მიმდინარე წელს „ფრენდშიპ ფორსის“ საქართველოს განყოფილება კვლავ გეგმავს ოჯახურ გაცვლებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, იაპონიასა და სხვა ქვეყნებთან. ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც ვასულ წელს ამერიკელთა მასპინძლობდნენ, პირველ რიგში მიეცემათ საპასუხო ვიზიტის საშუალება. ომბა სპარსეთის ყურეში, ზოლო შემდგომ საერთაშორისო გადაზიდვებზე ფასების მკვეთრმა გაძვირებამ საგრძობლად გაართულა ჩვენი საქმიანობა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არსებული, გაზრდილი ფასებითა და შეგვევის უნარი განვხორციელოთ გაცვლების პროგრამები, მაგრამ, ეს შესაბამისად გამოიწვევს საგზურების საფასურის მკვეთრ ზრდას, რაც, ცხადია, გამოიწვევს მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობას. „ფრენდშიპ ფორსის“ უპირველესი მიზანია კი სწორედ იმაზე მდგომარეობა, რომ მის პროგრამებში ყველას შეეძლოს მონაწილეობის მიღება. სწორედ ამიტომ, ჩვენ დროებით გადავწყვიტეთ დამატებითი გაცვლები, გადაზიდვების შეწყვეტა და მისაღწევი ფასების გამოქვეყნება. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „ფრენდშიპ ფორსის“ საქართველოს განყოფილებამ შეწყვიტა საქმიანობა. 1991 წლის პირველი ნახევრისათვის დაგეგმილი გაცვლები შემოდგომისათვის გადავწყვიტეთ. ვფიქრობთ, ამ დროისათვის შეგძლებათ არსებული სირთულეების დაძლევა.

„ფრენდშიპ ფორსის“ პროგრამებში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა უცხოელი სტუმრების მასპინძლობა. პროგრამის მონაწილენი მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ, საპასუხო ვიზიტით გაემგზავრონ ამა თუ იმ ქვეყანაში. საგზურის საფასური თითქმის იგივეა, რაც გადაზიდვის ღირებულება — „ფრენდშიპ ფორსის“ არაკომერციული ორგანიზაცია და მიზნად არ ისახავს ამგვარი საქმიანობის შედეგად გამდიდრებას. მიმდინარე წელს ჩვენი საგზურების საერთაშორისო საფასური 4000 მანეთს არ აღემატება.

ამასთანავე, გვსურს უფრო დემოკრატიული გავხადოთ მონაწილეთა შეჩვევის პროცესი. ჩვენს ჩაუფლებს სტუდენტები უნდა იყოს და მუშა, ინჟინერი და მძღოლიც. ერთი სიტყვით, ჩვენს ქვეყანაში არსებული ყველა პროფესიისა და სოციალური ფენის წარმომადგენელი. „ფრენდშიპ ფორსის“ განყოფილებები მსოფლიოს 51 ქვეყანაშია შექმნილი. გაცვლის მომზადების პროცესში ჩვენი უცხოელი პარტნიორები შეეცდებიან სტუმარ-მასპინძლები პროფესიებისა და ინტერესების მიხედვით დააწყვილონ, იგივეს შეეცდებიან ჩვენც.

თუ საბინაო პირობები ხელს გიწყობთ, „ფრენდშიპ ფორსის“ საქართველოს განყოფილება გთავაზობთ ამოკრთ გზებითა და ქვემოთ მითითებული ანკეტის ფორმა, შეავსოთ და ჩაუშვით თბილისში, თავისუფლების მოედნის მიმდებარე სკვერში მდგომ სპეციალურ ყუთში, ანდა გამოგვიგზავნოთ მისამართზე: 380003, თბილისი, კალიაივის ქუჩა № 12, მიმდინარე წლის 10 ივნისამდე. ჩვენ დაავაშუაებთ მიღებულ მონაცემებს და შეგვხვით შენაბამის ინფორმაციის ბაზას, სიღნაღი შემდგომ მოხდება როგორც მასპინძელთა, ისე წამსვლელთა ჯგუფების დაკომპლექტება. ჭარჭირებით, მხოლოდ თბილისის მცხოვრებთ ვთავაზობთ ჩვენს პროგრამებში მონაწილეობას.

ჩვენ გვსურს, რომ აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობის მიღების მსურველთა რაოდენობა ძალზე დიდი იქნება. ცხადია ისიც, რომ თავიდანვე შეუძლებელი იქნება ყველა მსურველთა დაკმაყოფილება. ამიტომ, დაბეჭდილებით გთხოვთ, გამოიჩინოთ მოთმინება, ნუ შეეცდებით ყველა საკითხზე ჩვენთან მისვლას ან ღარკვევას. ჩვენი თანამშრომლები თავად დაგიკავშირდებიან საქიროების შემთხვევაში.

ჩვენი თანამშრომლები გაცემენ პასუხს ყველა შეკითხვაზე 20 ივნისის შემდეგ, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 16-დან 18 საათამდე. ჩვენი ტელეფონია: 74-59-94.

პირველი გაცვლა წელს იაპონიის ქალაქ ნიიგატასთან შედგება აგვისტოს მეორე ნახევარში. გისურვებთ წარმატებას!

„ფრენდშიპ ფორსის“ საქართველოს განყოფილება

პროგრამის მონაწილის ანკეტა

1. გვარი, სახელი, მამის სახელი
2. მისამართი
3. ტელეფონი: ბინის _____ 4. სამსახური _____
5. დაბადების თარიღი _____ 6. დაბადების ადგილი _____
რიცხვი თვე წელი
7. პროფესია _____
საშუალო ადგილი და თანამდებობა
8. სქესი: მდედრ. მამრ. 9. ოჯახური მდგომარეობა _____
10. სარწმუნოება _____ 11. გაქვთ თუ არა სახლმეპატრონოს პასპორტი: ღია ანა _____
12. პასპორტი _____ № _____ 13. ძალაშია 199 _____ წლის _____ მდე
14. გსოვთა შენაბამის, რომელ უცხო ენებს ღიბთ: _____
— ნებისმიერ გერმანულ ფრანგულ ესპანურ სხვას
15. იხს. ჯიყა ოჯახის წევრების მუხაზე დახედა, _____
იქვენი სახელი, გვარი ახაკი საშუალო ადგილი, თანამდებობა
16. ინგლისური სფერო (გსოვთ შენაბამის არა უმეტეს 3 სახეობისა) _____
აქტიური დახვეწება ანტიკვარიატი კერძების მომზადება ენკვა
ცხვილები ფაგორ/კინო ხელნაწიქ მუხაღობა
გვარობა კომპოზი ფოტოგრაფია მუხაღობა
საოჯახო საქმეები სპორტი მუსიკა კოლექციონირება
სხვა _____
17. ენეები? ღია ანა _____
18. რამდენ სტუმარს უმასპინძლებთ _____
19. როგორ ხანისს გამოიყულო სტუმრებს: კრავადიდან ორადგილიან _____
20. რომელ ქვეყნებში ხართ წამყოფი _____

ხელმოწერა (გარკვევით) შევსების თარიღი _____

შენიშვნა: გსოვთ შენაბამის გარკვევით და სხვადასხვა სახელით ყველა შეკითხვას.



ივერიელი
ბიზლირთა

პრობლემა უირის პრო. გაგონების შედეგ



ტექნიკის აღწევნისა და ეკოლოგიური კატასტროფის უკან — XX საუკუნის დამლეველი — გერმანელ მოქალაქეთა ძალისხმევა — როგორც ქმედითად, თვალსაჩინოდ შეეწინააღმდეგონ შემამფთვებელ სინამდვილეს — შესაძლოა კანონზომიერ მოვლენად ჩაითვალოს დასავლური კულტურისათვის, მაგრამ ჩვენთვის ასეთი მიზანდასახულობა ჯერჯერობით ერთობ უცხო ჩანს. ამ გზით მოვიდა ხელოვნებამდე და ასე ჩამოყალიბდა პროფესიონალ მხატვრად ორი გერმანელი მოქანდაკე ეკარტ შემბსი და ალბერტ ჰუპერი. მანვე საწარმოთა თუ ქარხნების წინ დამოკიდებით ქმნიდნენ ისინი სკულპტურულ კომპოზიციებს. მასალად ხელთ რაც მოხვდებოდათ იმას იყენებდნენ, თუნდაც წარმოების ნარჩენებს. დიდი საწარმოს მფლობელს პროტესტის ამგვარი გამოხატულება ზედმეტად და, მოქანდაკეთა თქმით, ხშირად მამინვე ისპობოდა (რა თქმა უნდა მფლობელის განკარგულებით), იშვიათად კი ადგილზევე რჩებოდა, როგორც ხელოვნების ძეგლი. შემდეგ მო-

ქანდაკეებმა თანდათანობით გააფართოვეს თავიანთი მოღვაწეობის სფერო, სრულყოველ შესრულების ტექნიკა, მაგრამ მაინც ერთგულნი დარჩნენ როგორც მასალის, ისე — მხატვრული ფორმის უჩვეულობისა და უკიდურესი გამოხატველობისაკენ სწრაფობას.

სწორედ ამ ხელოვნათა შემოქმედება წარუდგინა თბილისის საზოგადოებას საქართველო-ავსტრიის ერთობლივმა ფორმამ „ღარაბა-ქართული სახელოსნოები“. ეს წარდგენა ჯგუფური გამოფენის მეშვეობით მოხდა: გაზაფხულზე კლუბმა „ფორმანა“ უმასპინძლა გერმანელი და ქართველი მხატვრების ერთობლივ გამოფენას — უკვე მოხსენებულ მოქანდაკეების შემსისა და ალბერტ ჰუპერის გარდა, გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ფერმწერებმა გია ბაღურაშვილმა და იური ბერიშვილმა, გრაფიკოსებმა კლავს კლიარმა და ლილი მუჭკალაშვილმა.



ანართუბის მიერ, თავისთავადაც კოლორიტულ ინტერიერში გაშლილი ექსპოზიცია საკმაოდ

მდიდარსა და მრავალფეროვან სურათს ქმნიდა. მოქანდაკეთა სხვადასხვა დარბაზებში გამოფენილი ნამუშევრები ავტორთა განსხვავებულ მხატვრულ ხედვას ააშკარავებდა: ე. შემბსის დინამიკური ქანდაკებები (რომელთა შორის იყო კინეტიკურიც) ესოდენ ჩვეული ყოფითი ნივთების — ჩანგლების, კოვზების, მტვერსასრურტისა თუ სხვისი გამოყენებით შედგენილი, ესთეტიზაციისაკენ სწრაფობა და მკითხველბით იყო აღბეჭდილი. ა. ჰუპერის გაცილებით სადა, ფერადოვან მხატვრულ თითქმის მოკლებული, ძირითადად დეკორატიული რეკონს დეტალებით შედგენილი აბსტრაქტული ქანდაკებები კი, მიუხედავად მკითხველისა, თითქმის მონუმენტურობითა და არქაული ძალმოსილებით იყო დამუხტული. ნიშანდობლივია, რომ ქანდაკებების შექმნა ავტორს თბილისში, სულ რამდენიმე დღეში მოუხდა სასაცხოვრებელი ნამუშევრებისა, რომლებმაც გერმანიიდან თბილისში ვერ ჩამოიყვანა.

მლავერ ფერადოვან მხატვრებს ქმნიდა კედლებზე გია ბაღურაშვილის, გამოფენის ერთ-ერთი მოთავეს, აბსტრაქტული ნამუშევრები, ა. ჰუპერის ქანდაკებითა დარბაზში კი პლასტიკურ ნამუშევართა სისადავესა და სიმკაცრეს აწონასწორებდა იური ბერიშვილის ფერწერულ ტილოთა დეკორატიულობა. გამოფენის საერთო განწყობას ეხმარებოდა მფლობელთაგან გაშლილი ლილი მუჭკალაშვილის გრაფიკული ნამუშევრებიც.

ასე რომ, მთლიანობაში ექსპოზიციით შექმნილი მიკროსამყარო ქართველ და გერმანელ შემოქმედთა მხატვრული ხედვის სხვადასხვაობისა და ამავ დროს შინაგანი ერთობის მანიშნებლად და მომავალი თანამშრომლობის საწინდარადაც შეიძლება ჩაითვალოს.

მარინა შიშანდარი,
ხელოვნებათმცოდნე.




სურათი: მარცხნიდან მარჯვნივ: იური ბერიშვილი, ლილი მუჭკალაშვილი, ეკარტ შემბსი, ალბერტ ჰუპერი, გია ბაღურაშვილი; ეკარტ შემბსის „წეროები“, გია ბაღურაშვილის „ღერების შემდეგ“.

კონტაქტები

კონტაქტები

სპორტი



ნამდვილად ვერ წარმოვიდგინებდი, თუ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი 25 მაისს კვლავ ცარიელი იქნებოდა... არა და არ მოდის ბალხი ფეხბურთის საყურებლად. თან როგორი ფეხბურთის და როგორი ფეხბურთელების?... იმ დღეს ხომ ორი ლამაზი სანახაობა გველოდა — ჯერ თბილისის „ბებრის“ და საქართველოს კლუბების ნაკრებს უნდა ეთამაშათ, შემდეგ კი ახლო წარსულის ორი ბრწყინვალე გუნდს — 1975 წლის თასების მფლობელთა თასის მფლობელ კევის „დინამოს“ და 1981 წლის იმავე პრიზის ლაურეატს თბილისის „დინამოს“.

...კარს კვლავ იცავდა ემოციური ოთარ გაბელია, რომელმაც ამჯერადაც არაერთი ლამაზი ნახტომით მოგვნიბდა და თავისი ბრწყინვალე რეაქცია დაადსტურა; კვლავ თავგანწირვით თამაშობდა დაცვაში თამაზ კოსტავა, კვლავ მიუძღოდა თანაგუნდელებს ინვალთადაც ყველაზე ფეხბედნიერი კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე, კვლავ საგონებელში ავდებდა მეტოქის მცველებს თავისი მანე-

რებით (მიუხედავად აშკარად მომატებული წონისა) შეუჩერებელი რამაზ შენგელია და ასე შეიძლება გავაგრძელოთ თითოეულ დინამოელზე. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ამ დღეს ვერ ითამაშეს შოთა ხინჩიავაშვილი, ვლადიმერ გუცაევმა, ზაურ სვანაძემ და თენგიზ სულაქელიძემ.

„დინამოს“ შემადგენლობაში ამ დღეს არავინ გამოსულა მეექვსე ნომრით, ის ხომ ვიტალი დარასელია ეკუთვნოდა...

ისევე, როგორც თავიანთ საუკეთესო წლებში, დინამოელებმა არაერთი ლამაზი, გააზრებული კომბინაცია გაითამაშეს და საბოლოო მომენტებში მრავლად შექმნეს კიეველთა კართან, რომელთაგანაც სამი შედეგიანი აღმოჩნდა. გოლები გაიტანეს ვაჟა უვანიამ, რამაზ შენგელიამ და ლევან ნოდიაშვილმა, რაც მთავარია, სამივე ეს თავიანთ სტილში გააკეთეს.

რაც შეეხება ჩვენს სტუმრებს, მათაც აუცილებლად უნდა გამოვეყოთ ორივე მეკარე — ეგვენი რუდაკვი და იური რომენსკი, სახელოვანი ფორვარდი ანატოლი შებელი (ერთადერთი სპასუნო

როგორ მოგვინატრებია...

ბურთის ავტორი) და, რაღა თქმა უნდა, ამ მატჩის ყველაზე უხუცესი მონაწილე, დაუღალავი და ენერგიული იოჟეფ საბო.

კიდევ ვიმეორებ, რომ ყველა ევტურანი ქების ღირსია, მაგრამ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ერთი ფეხბურთელი ცალკე გამოყოფის ღირსია (როგორც 10-15 წლის წინათ). 40 წელს მიღწეულმა დავით ყიფიანმა ისეთი საფეხბურთო გავებით ჩაატარა, რომ მწივად თუ იფიქრებდა კაცი, რომ 9 წელიწადი გასულა მას შემდეგ, რაც საერთოდ არ უთამაშია ფეხბურთი. დიამ, 1982 წლის აპრილის იმ საღამოს შემდეგ აროდესაც თბილისში კრასნოდარის „სუბანთან“ შეხვედრის II ტიპში დავით ყიფიანი მინდორზე აღარ გამოსულა, მას, თუ შესაძლებელი არ მიატოვებს, არც ევტურანთა ასპარეზობებში არ მიუღია მონაწილეობა. არადა, როგორ მონატრებია ხალხს თქვენი თამაში, ბატონო დავით... ეს ისეთივე ყიფიანი იყო თავისი ბრწყინვალე ტექნიკით და გააზრებული თამაშით და, რაც ყველაზე ძალიან მოგვინატრებია, — უზადო გადაცემები შორ მანძილზე, მეტოქეთა მცველებს ზურგსუკის; და ისევე ამოქმედდა განუყოფელი მცველი — ყიფიანი — შენგელია...

არა, მართლაც რომ ზღაპრული გუნდი გვყავდა...

მთი კვლავ კი დღევანდელი თაობა მოვიდა, ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელებისა. სწორედ მათი უმრავლესობა მონაწილეობდა კიდევაც მატჩში, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრების თბილისის „ბებრის“ საქართველოს კლუბების ნაკრებს ზედმეტად. წინდაწინ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელებმა, ბევრისათვის

გასაკვირვებლად, მეტად გააზრებული და, რაც მთავარია, საკმაოდ ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. ეტყობოდა, რომ იმ მკითხველს, რომელიც კლუბების ნაკრების ხელმძღვანელებს რამაზ შენგელიასა და თამაზ კოსტავას პქონდათ მზადებისათვის, ტყუილბრალოდ არ ჩაუყვლია. სულ კლუბების ნაკრებში უმძლესი წევრის 7 გუნდის წარმომადგენელი გამოდიოდა და თითქმის ყველა გამოაჩინა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: მეკარე — გელა კანტურია („ოლიში“), მცველი — გორა გუჭაბიძე („გურია“), ნახევარმცველი — გია კილასონია („გორა“) და ფორვარდი — მიხეილ ჯიშარიანი („ცსუმი“). მაგრამ, ერთმა ფეხბურთელმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი და, არ შევცდები, თუ მას ამ მატჩში საუკეთესო ფეხბურთელად ვლიარებდი. საქმე ეხება ზუგდიდის „ოლიშის“ შემდგომ ცენტრალურ თავდასხმელს დავით ყიფიანს, რომელმაც, ისევე როგორც კლუბში გამართულ ყოველ შეხვედრაში, კვლავ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. ყიფიანისთვისა და მისი თანაგუნდელების დამსახურება იყო სწორედ, რომ საქართველოს კლუბების ნაკრებმა დამაჯერებელი სანჯარიშით შეძლეს „ბებრის“ დამარცხება, ბევრისათვის მართლაც მოულოდნელი შედეგით — ვ.მ. გოლები გაიტანეს მელორ ბიგავამ, მიხეილ ჯიშარიანმა და დავით მხარაძემ.

რაც შეეხება „ბებრის“, მან საკმაოდ ბევრი მომენტით შექმნა მეტოქის კართან, მაგრამ თემურ ქეცბაიას, კახი ცხადაძის, გია ჯიშარიანის, შოთა არველიანის და მიხეილ ყაველაშვილის დარტყმებს წინ ელობებოდა შეუტლმად მოთამაშე საქართველოს

კლუბების ნაკრების ორივე მეკარე, ჯერ გელა კანტურია, შემდეგ კი მამუკა გვასალია.

მთლიანობაში, უნდა ითქვას, რომ ორივე მატჩმა მოლოდინი ნამდვილად გაამართლა, მაგრამ, როგორც წერილობით დასაწყისში იყო აღნიშნული, ასეთ სანახაობას აშკარად მოუხდებოდა სავსე ტრიბუნები და ომანიანი შეძახილები.

ამ ლამაზ საფეხბურთო დღესასწაულში მოსაპარე გუნდებმა კი შეიძლება შემადგენლობებით იასპარეხეს:

„დინამო“ (თბილისი): ვაბელო, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩიავაშვილი (ძირითადი), თავაძე (მუჭკალი), კატალაშვილი, კობულეიშვილი, ქორიძე, ყვანიბა, ყიფიანი (ლ. ნოდია), შენგელია.

„დინამო“ (კიევი): რუდაკვი, დამინი, მატჩენკო (ხელოუსი), ზუგვი, რემკო, ტროშკინი (ბოიკო), კოვალოვი, საბო (ბიბა), შებელი, სლობოდიანი (ხმელნიცკი), კოჩუბინსკი.

„ბებრია“: ჩივაძე, არზიანი (ნემსაძე), ცხადაძე, შელია (მაჭავარიანი), გ. ჯიშარიანი, რევიშვილი, ქეცბაია (შ. არველიანი), ჩიქოვანი, კაჭარავა (ყაველაშვილი), ინალიშვილი, გოგინაშვილი (ჯამარაული).

საპარტოვოს კლუბების ნაკრები: კანტურია (გვასალია), კვიციანი, გუჭაბიძე, კუდინოვი (გიგაბაძე), ტყეშელაშვილი, ცომაია, გოგინაშვილი (კიურჯიფი), კილასონია, ბიგავა, მ. ჯიშარიანი (სანდერაშვილი), ყიფიანი (მაჭარაძე).

გია ბუნაშვილი
ოლეგ ვეკლანიანის ფოტო.



საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო ასოციაცია „კომპლემსი“-ს უძრავა „მამისონი“-ს გიწვევთ ა.წ. 15 სექტემბრიდან უმაღლესი კომერციული ინგლისურის შესასწავლად. სახელმძღვანელო შესაბამისი ტერმინოლოგიის და სიტყვების ინგლისურ-ქართულ-რუსული კანმარტებითი ლექსიკონით მსმენელებს გადაეცემათ სწავლის დაწყების წინ.

გადატარების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რესდენობით მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ დაეფულოთ უმაღლესი საერთაშორისო დონეზე კონტაქტების შედგენის, მოლაპარაკების, საქმიანი მიმოწერის, პრეტენზიების, საქონლის მიწოდების და ბანკისათვის საქირა სხვა აუცილებელ დეტალებს.

ვიწვევთ მსმენელებს, რომლებიც კითხულობენ და თარგმანს ინგლისურად ლექსიკონის დახმარებით. სწავლების ხანგრძლივობა 8 თვეა, მეცადინეობის განრიგით შეიარჩევა თქვენთან შეთანხმებით. სწავლის ღირებულებაა 2960 მანეთი. უცხოელთათვის 2960 ამერიკული დოლარი ყველა ხარჯის ჩათვლით საქართველოში. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე პირადად. განცხადებები მიიღება ა.წ. 1 ივნისამდე.

ჩვენს ანგარიშში №000468005 კომპიუტერი ბანკი „თბილისი“, ანგარიში №000161307, კომპი 521006, სახელმწიფო ბანკის საკომპიუტერო სამმართველო.

გელით! კეთილი იყოს თქვენი მოძრაობა! გვგროვდეთ, ჩვენი კურსდამთავრებულნი სპეციალისტი გარანტიანა თქვენი მომავალი წარმატებული ურთიერთობისა საზღვარგარეთით გირმებთან.

დავფრილებითი ცნობა საქართველოს ფარმაცეუტის ტელეფონები: 95-23-72; 95-93-72. მისამართი: ართვინის ქ. №53 (საბჭოს მოედნიდან ასახვევი ხელმარჯვენა). ავტომობილი №29 ყოფილ კოლმეურნეთა მოედნიდან.

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“

მცირე სახელმწიფო საწარმო „ბიზნეს-ინფორმატიკა“

მცირე სახელმწიფო საწარმო (მსს) „ბიზნეს-ინფორმატიკა“, რომლის დამფუძნებელია სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, სთავაზობს ყველას თანამედროვე IBM PC/XT/AT-ის ტიპის კომპიუტერებთან მუშაობის შესწავლის მოკლევადიან კურსებს.

კურსები განსაზღვრულია სხვადასხვა წინასწარი მომზადების მქონე მსმენელისათვის: დაწყებული აბაღდებიდან, დამთავრებული სოლიდური მომზადების მქონე მომზადებულთ.

მსმენელთა ჯგუფები მცირერიცხოვანია — არა უმეტეს 8 კაცისა. ამასთან აუცილებლად დაცული იქნება პირობა — ყოველ მსმენელს ცალკე პერსონალური კომპიუტერი.

სწავლების ვადა და პროგრამა განისაზღვრება ჯგუფის წევრთა ინტერესებით და საწყისი მომზადებით. სწავლებას გაუძღვებიან უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

სწავლების კურსის ვაგლის შემდეგ აბაღდებს შეეძლება დამოუკიდებლად მუშაობა ყველაზე თანამედროვე პერსონალურ კომპიუტერზე, ხოლო მომზადებულ მომზადებულს შეეძლება შეისწავლოს: ტექნიკური რედაქტორები, სერვისული პროგრამები, ელექტრონული ცხრილები, დამოკიდებულების ენები, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, გრაფიკული პაკეტი, სტატისტიკური პაკეტი და სხვა.

კურსის ვაგლის შემდეგ მსმენელებს შეეძლება შეიძინონ მათ მიერ შესწავლილი პროგრამები ჩაწერილი მაგნიტურ დისკოზე შესაბამისი აღწერით.

დაწერილობითი ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, 9 ართვინის ქუჩა №53, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, მსს „ბიზნეს-ინფორმატიკა“, ტელეფონები: 95-77-19, 95-76-47.

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“

თქვენ გნებავთ თავი გაარიდოთ პაპანაქება სიციხეს? თქვენ გნებავთ იყოთ თბილისში და თავი იგრიდოთ კურორტზე?

სულთა პერი, ტყე-პარკი, კოტეჯები, კაფე-სასადილო, სოკოს დარბაზი, თავის თვისებით განთქმული გოგორდოვანი აბანო, კეთილმოწყობილი პლიაჟი და სპორტული მოედნები, ბილიარდი, ათლეტური კლუბი, წყლის ველოსიპედები, ნაგები და ყველაფერი ის, რაც საქირაო ადამიანის სულიერი და ფიზიკური დასვენებისათვის.

ფირმა „პუშკინი“ გეპატივებით ღიხის ტბაზე. იქჩართო ტურისტულ ბანაკში სულ 100 ადგილია! ცნობებისა და საქმიანი წინადადებისათვის დარეკეთ: 89-41-74, 89-45-92.

რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“.

მისამართი: ბუდაბეშტის ქ. №1
ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („გცვლი ბინას“, „გვესაქირაობ“, „გყიდი“, „გყიდეულობ“, „გასწავლი“, „გაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ თორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

საფირმო კოოპერატივი „ექსტრა“

საუკეთესო პირობებს სთავაზობს ყველა დაინტერესებულ მძღლოს, მგზავრთა გადასაყვანად. ხელშეკრულების გაფორმება შეგიძლიათ ყოველდღე: დილის 9 სთ-დან საღამოს 20 საათამდე. კოოპერატივი გადასახადის 50%-ის შემცირებით, შეღავათიან ფასებში ამუშავებს პენსიონერებს, მრავალშვილიან მძღლებს და ინვალიდებს. შრომის წიგნაკით გაფორმებულ მძღლებს საშუალო დრო ეთვლებათ უწყვეტ საშუალო სტაჟად. კოოპერატივიში ექვსი თვის სტაჟის მქონე ყველა შეთავსებით მომუშავე მძღლოს უფლება ეძლევა ერთი თვე იმუშაოს საწვერო შესატანის გარეშე, რის ხარჯებსაც კოოპერატივი ღებულობს თავის თავზე. დაწვრილებითი და დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: გუდაუთის ქ. №5 (დიდუბე, პარფიუმერიის ფაბრიკა „ივერიასთან“, აგრომეურნეობის გარეშის წინ).

კერძო ტაქსების საყურადღებოდ!

კოოპერატივი „საშანი“ იწვევს საშუალოდ კერძო ტაქსების მძღლებს. გადასახადი მინიმალურია — თვეში 30 მანეთი. მისამართები:

- 1) გლდანის რ-ნი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია. წითელი ჭიხური წარწერით „სავანე“.
- 2) ბუდაბეშტის ქუჩა №1, საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინების“ შენობა. კოოპერატივი „სავანე“.

ხალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 95-97-81; პახუსხმეველი მდივანი — 95-81-56; წერილების განყოფილება — 95-80-59.

გაზეთი გამოდის კვირასში ხანჯარ სამუშაო, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მახალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამოცემლობა „საშობლოს“ სტამბა თბილისი. 2. კობახაძის 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში ხოზარაულის 29. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
მერაბ ბალარაძიანი

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. №14.